ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩაკვეტაძის საქმიანობის ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი: 14 .11.2017 - 30.10.2018)

გზამკვლევი

- შესავალი;
- სტატუსი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში, კომისიებში და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა (სხდომები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი და კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო პროგრამები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისიის საქმიანობა და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის ჩართულობა);
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივები;
- სამუშაო შეხვედრები (საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო, ადგილობრივ და საერთაშორისო პირებთან ურთიერთობა, შეხვედრები ფედერაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა);
- სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში ჩართულობა;
- მივლინება/ოფიციალური ვიზიტები;
- განხილული კორესპონდენცია;
- მოქალაქეთა მიღება;
- დამატებითი ინფორმაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა ამომრჩევლების წინაშე წელიწადში ერთხელ 1-ლ ნოემბრამდე წარადგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დოკუმენტი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩაკვეტაძის მიერ 2017 წლის 14 ნოემბრიდან და 2018 წლის 31 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

2017 წლის 21 ოქტომბრს გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, 2017 წლის 14 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ის 24-ე მუხლის ,,ბ.გ'' ქვეპუნქტისა და საკრებულოს №-1 განკარგულების შესაბამისად ცნობილ იქნა მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

კომისიის თავმჯდომარე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 ნოემბრის, №-17 განკარგულებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, არჩეულ იქნა გიორგი ჩაკვეტაძე.

კომისიის წევრი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წ. 15 ნოემბრის №10 განკარგულებით იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი. 2017 წ. 5 დეკემბრის №63 განკარგულებით *(საფუძველი კომისიის დასახელების ცვლილება)* იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი.

ფრაქციის წევრი

2017 წლის 14 ნოემბრიდან ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ის წევრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში, კომისიებში და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში (*14.11.2017- 23.10.2017)* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს 28 *(ოცდარვა)* და საკრებულოს 29 *(ოცდაცხრა)* სხდომა გაიმართა. შედეგად გიორგი ჩაკვეტაძის თანამონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია 524 გადაწყვეტილება. მათ შორის, 127 *(ასოცდაშვიდი)* დადგენილება და 397 *(სამასოთხმოცდაჩვიდმეტი)* განკარგულება.
გიორგი ჩაკვეტაძე (2017 წლის 14 ნოემბრიდან - 2018 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით) დაესწრო ბიუროს 27 და საკრებულოს 28 სხდომას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

2017 წლის 15 დეკემბრის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა (დადგენილება-№ 6-8, 15 დეკემბერი, 2017წ.) დედაქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია თბილისის მოსახლეობის მოთხოვნებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის ახალი მთავრობის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებული იქნა საკრებულოს ახალი მოწვევის შენიშვნები დამტკიცდა 861 609,0 ათასი ლარით, რაც წარმოდგენილი ბიუჯეტის პირველ ვარიანტთან შედარებით (N12-031731434-03, 10.11.2017წ.) 46 398.9 ათასი ლარით მეტია. ბოლო ცვლილებით დედაქალაქის ბიუჯეტი შეადგენს: 916 863,6 ათას ლარს.

2018 წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 130 531,3 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა - 195 642,1 ათასი ლარი;

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 88 089,3 ათასი ლარი;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 189 539,5 ათასი ლარი;
- განათლება - 117 445,6 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 28 954,0 ათასი ლარი;

*პრიორიტეტული მიმართულებები- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის** მშენებლობა-აღდგენა*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 მარტის №36 განკარგულებით, თანხმობა მიეცა დედაქალაქის მთავრობას და თბილისის მერის მიერ ხელი მოეწერა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რეკონსტრუქციისა და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად საგრანტო ხელშეკრულებას.
პროექტი 4 წლის განმავლობაში განხორციელდება და მისი მთლიანი ღირებულება 800 ათასი ევროა, საიდანაც 500 ათასი ევროკავშირის, EBRD-ს გრანტია, ხოლო 300 ათასი თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. 4 წლის განმავლობაში დადგენილია:

- 2019 წლის ბოლომდე სრულად ჩანაცვლდება დღეს არსებული ე.წ. ყვითელი ავტობუსები;
- 2020 წლიდან მუნიციპალური ავტობუსების რაოდენობა 900-მდე გაიზრდება;
- ყველა ახალი ავტობუსი ასევე, აღიჭურვება უფასო ინტერნეტით;
- 2020 წლიდან სრულიად ახალი სტანდარტის, 18-მეტრიანი 200-მდე ელექტროავტობუსის შემოყვანა;

ხელმოწერილი საგრანტო ხელშეკრულებით საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა ფრანგულმა კომპანიამ „სისტრა''-მ, რომელიც ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის დეტალურ გეგმას 15 თვეში წარმოადგენს.

- განახლდება დედაქალაქის სამარშრუტო ქსელი და მოხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმალური განაწილება;
- 2021 წლამდე ქალაქის მასშტაბით მოეწყობა ავტობუსის ზოლები - ე.წ. ბასლაინები;

დედაქალაქში მიმდინარეობს პარკირების სისტემის მოწესრიგება, კერძოდ, მიღებულია მნიშვნელოვანი განკარგულებები თბილისში გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ და თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე *(განკარგულებები N80,81,82,137).* ამ ადგილებზე ავტოსადგომების მშენებლობა

მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს სატრანსპორტო პრობლემას. დაინტერესებულ ინვესტორს აღნიშნული ტერიტორიები სიმბოლურად, 1 ლარად, კერძო საკუთრებაში გადაეცემა. ასევე 2019 წლიდან რამდენიმე ცენტრალურ უბანში ამოქმედდება ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ წესრიგდება რიგ თემებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ევროსტანდარტებთან დაახლოება. ამასთან დაკავშირებით მიღებულია დადგენილება თბილისის საზღვრებში ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესისა და ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის წესის განსაზღვრის თაობაზე *(დადგენილება N 24-80).*
ნებართვის საფასური ერთი წლით, შიდაწვისძრავიანი ავტომანქანებისთვის 100 ლარია, ჰიბრიდებისთვის 50 ლარი, ხოლო ელექტრომობილებისთვის უფასო.
რეგისტრაციის მეორე ეტაპზე 2019 წლიდან ოქტომბრიდან ტაქსებს ერთიანი დიზაინი და ფერი ექნებათ. მათთვის გამოიყოფა 60-ზე მეტი უფასო ადგილი პარკირებისთვის, რომელიც მთლიანობაში 250-მდე მანქანაზეა გათვალისწინებული.

გარდა ამისა, წახალისდება ელექტრომობილების მოხმარება. კერძოდ, ელექტრომობილებს ზონალურ-საათობრივი პარკირების საფასური არ შეეხება. მუნიციპალურ საპარკინგე ადგილებზე გამოყოფილი იქნება სპეციალურად მათთვის განკუთვნილი უფასო სადგომები, რომლებზეც სხვა ავტომანქანებს დაყენების უფლება არ ექნებათ. ასევე, მუნიციპალიტეტი განახორციელებს ელექტროდამტენების მონტაჟს. იმ ადამიანებს, რომლებსაც საკუთრებაში ეყოლებათ ელექტრომობილები, შეუძლიათ მიმართონ გამგეობებს ან მერიას და მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, სადაც მუნიციპალური პარკინგებია, დამტენებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დაუმონტაჟებენ. ამ ეტაპზე რეგისტრაცია გაიარა 20 000-მდე მეტმა ტაქსმა.

მეტროს სადგურების სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში რეკონსტრუქცია ჩაუტარდათ მეტროს სადგურს „გურამიშვილი''-ს, ასევე კვლევა ჩაუტარდა სადგურებს „ავლაბარი'', „სამგორი'' და მიმდინარეობს მათი რეაბილიტაცია, ასვე იგეგმება ვაგონების მთლიანი მოდერნიზაცია, მეტროს 3 ოთხვაგონიანი და 1 სამვაგონიანი ახალი შემადგენლობის დამატებამ, შესაძლებელი გახადა პიკის საათებში მატარებლების სამწუთიანი შუალედით მოძრაობა. 2021 წლამდე თბილისის მეტროპოლიტენს დაემატება 12 ახალი შემადგენლობა,

მიწისზედა მეტროს მშენებლობა

ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და თანადგომით, თბილისის მუნიციპალიტეტი განახორციელებს მიწისზედა მეტროს მშენებლობის პროექტს, რომელიც 2019 წლის ბოლოს დაიწყება. მიწისზედა მეტროს მშენებლობა სამგორიდან ლილოს მიმართულებით. ასევე, სამგორი-აეროპორტი; აეროპორტი-სამგორის მიმართულებით განხორციელდება.
რვა ახალი მეტროსადგური აშენდება. პროექტის ღირებულება 90 მილიონ დოლარს შეადგენს.

- ნაკადების მართვის ,,ჭკვიანი" სისტემა - ,,ჭკვიანი" შუქნიშნები;

,,ჭკვიანი" შუქნიშნების მეშვეობით, მონაცემების შეგროვება, სატრანსპორტო ნაკადების უკეთესი გადანაწილება და მოძრაობის ორგანიზების ოპტიმიზაცია გახდება შესაძლებელი.

- მეტროს, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მარშრუტების განახლება;

2019 წელს მეტროს, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მარშრუტების განახლება და მათი სინქრონიზაცია მოხდება, რომლის მიზანიც მგზავრთა ნაკადის ოპტიმალურად განაწილება და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა.

გზების რეაბილიტაცია

- მარშალ გელოვანის გამზირისა და სარაჯიშვილის ქუჩის ორდონიანი კვანძის მოწყობა;

პროექტის ღირებულება შეადგენს 4 300 000 ლარს. პროექტი ვაშლიჯვრის დასახლებაში მოძრაობის განტვირთვას უზრუნველყოფს და საბურთალოსა და დიღომს შორის ტრანსპორტის ნაკადის გამტარობას გაზრდის;

- დასრულდა ბარათაშვილის აღმართის რეაბილიტაცია;

აღდგა სანიაღვრე ქსელი, სადრენაჟო სისტემა, მოეწყო ტროტუარი, დამონტაჟდა მოაჯირები და დეკორატიული სანათები;

- რობაქიძის გამზირის რეკონსტრუქცია;
- მიმდინარეობს კოსტავა-შარტავას ქუჩის რეკონსტრუქცია;

კოსტავა-შარტავას მონაკვეთზე ბიუჯეტიდან 7 მლნ. ლარამდე. ასევე, კაპიტალური ინვესტიციები წყალმომარაგების, გაზის და სხვა კერძო კომპანიების მხრიდან, რაც 3,5 მლნ. ლარზე მეტია;

- *წლის ბოლომდე დასრულდება უზნაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები;*
- *სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება;*
- *მიმინარეობს ველობილიკების მოწყობა და სხვა.*

განხორციელდა საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილების, მიწისქვეშა გადასასვლელებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია. გატარდა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია

მომდევნო 4 წლის განმავლობაში ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დახმარებით ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის დაახლოებით 500 მილიონი ლარის დახარჯვაა გათვალისწინებული:

- მიმდინარეობს გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია;
- ორბელიანის მოედნის პროექტის საერთო ღირებულება 52 მლნ. ლარს შეადგენს;
- პროექტის ფარგლებში მთავრდება 150 ავტომობილზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომი.

მოედნის მიმდებარედ არსებულ 7 ქუჩაზე საინჟინრო-საკომუნიკაციო პროექტი ხორციელდება, მოეწყობა საფეხმავლო ქუჩები. სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება 2018 წლის ბოლოს.

ეკოლოგია

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ფარგლებში მიმდინარეობს შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

- დაიწყო ნარჩენების მმართვის სტრატეგიის შემუშავება;

დოკუმენტი ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებებს დაეფუძნა და საფუძველს ჩაუყრის ნარჩენების სეპარირებისა და აღდგენის სისტემის ჩამოყალიბებას.

- განხორციელდა არსებული მწვანე სივრცეების აღდგენა;
- 2018-2020 წლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 9 დიდი პარკის სრული რეაბილიტაცია;

- მიმდინარეობს ვაკის პარკისა და ვერის ბაღის პროექტების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;

მიმდინარეობს კერძო კომპანიებთან აქტიური კომუნიკაცია, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა მწვანე სივრცეების განვითარების მიმართულებით.

- სააკაძისა და გმირთა მოედნებზე მოეწყო მწვანე კუნძულები.

ეკოლოგიური მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს ახალი ავტობუსების შემოყვანა და გამართული ტაქსების მოძრაობა.

ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **სოციალური დაცვის** ქვეპროგრამების განხორციელების წესის შესაბამისად ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროგრამები:

- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების გაცემა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა;
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების გაცემა;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების გაცემა;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შშმ პირების და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შშმ უსინათლო პირების დახმარება;
- უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში;
- უფასო სწავლება ხელოვნებისა და სპორტ სკოლებში, სპორტ სკოლებში.

ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამები ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- დაავადებათა სკრინინგი;
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- „C” ჰეპატიტის დიაგნოსტიკა;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება;

- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება.

აგრეთვე, ბიუჯეტით გათვალისწინებულია „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები, რაც გულიხმობს:

- სამედიცინო მომსახურებას;
- მედიკამენტების დაფინანსებას;
- შინმოვლის მომსახურების დაფინანსებას და სხვა.

პრიორიტეტულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ადამიანები 200 000 და ნაკლები ქულით, ვეტერანები, მარჩენალდაკარგული პირები, შშმ პირები, საპატიო მოქალაქეები, პირები, რომლებიც არ სარგებლობენ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით.

ეკონომიკის განვითერების ფარგლებში განხორცილდა „ღამის ეკონომიკის“ საპილოტე პროექტი

ყოველ პარასკევს და შაბათს, ღამის 00 სთ-დან 06 საათამდე, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრიდან'' „ვარკეთილამდე'' იმოძრავებს №222 ავტობუსი. მარშრუტი მოიცავს ქალაქის კულტურულ ცენტრებს, სადაც პარასკევს და შაბათს ყველაზე დიდი აქტივობაა. მათ შორისაა აბანოთუბანი, ახალი აღმაშენებელის გამზირი.

სპორტი და ახალგაზრდობა

ვარკეთილსა და დიდ დიღომში - მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა;

დასრულდა სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტენდერი - აღნიშნულ ცენტრებში განთავსებული იქნება ახალგაზრდული და კულტურული სივრცეებიც.

დედაქალაქის მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" ვერის პარკში არსებული შენობის გადაცემა განხორციელდა

ფედერაციას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2027 წლამდე გადაეცა და განხორციელდება ნახევარ მილიონ ლარის ინვესტიცია, მაქსიმალურად მოეწყობა და განვითარდება არსებული სივრცე.

ნაძალადევის სპორტული კომპლექსი

გაიხსნა გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი, რომელიც სრული დატვირთვის შემდეგ მოემსახურება 1 000-ზე მეტ ბენეფიციარს.

სპორტულ ბაზაზე მოეწყო: ჭიდაობის დარბაზი; კრივის რინგი; 2 საცურაო აუზი (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ); ფიტნეს-დარბაზი; გასახდელები და კაფე.

მუნიციპალური ა(ა)იპ-ები

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია 9 სპორტული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო ახალგაზრდული მიმართულებით: ,,ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება", ,,ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი" და ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები".

საანგარიშო პერიოდში სპორტული ა(ა)იპ-ები სპორტის 35-მდე სახეობაში 6 000-მდე ბენეფიციარს მოემსახურნენ.

განხორციელებული და მიმდინარე მნიშვნელოვანი პროგრამები

მწვრთნელთა მხარდაჭერა - ფინანსური მხარდაჭერა გადაეცემა სპორტის სხვადასხვა სახეობის 345 მწვრთნელ-მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს (წახალისება ხორციელდება ყოველთვიურად);

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება - სპორტის 34 სახეობაში ფინანსდება 18 წლამდე ასაკის 240 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (წახალისება ხორციელდება ყოველთვიურად);

სპორტული ინვენტარი და ეკიპირება - განხორციელდა 34 ფედერაციისა და კლუბისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა;

Sharing Fest - ახალგაზრდებისა და ორგანიზაციების გაერთიანება და ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი, აქტიური, შემოქმედებითი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;

Street Art - საერთაშორისო ფესტივალი, როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი, ახალგაზრდა მხატვრები მონაწილეობდნენ, რომლებმაც ქალაქში სხვადასხვა სივრცეები მოხატეს;

ტრენინგ - კურსები - 7 მაისიდან 25 ივლისის ჩათვლით, „ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების'' ორგანიზებით განხორციელდა ტრენინგ-კურსები 120 ახალგაზრდისთვის.

ისწავლე და დასაქმდი - პროფესიულ კოლეჯებთან ერთად პროგრამა სამსახურის მაძიებელი მოქალაქეებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებში და დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 552 და დასაქმდა 265 კურსდამთავრებული;

საზაფხულო სკოლები და ახალგაზრდული ბანაკები - საზაფხულო სკოლებისა და ლაშქრობების ორგანიზება 2500-მდე ახალგაზრდისთვის. როგორც დედაქალაქში - ლისის სტუდენტური საცხოვრებლის ტერიტორიაზე, ასევე ბორჯომში და ბაზალეთის სასწავლო ცენტრის ბაზაზე;

"Be Lingual" - პროექტი თბილისში მცხოვრები 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის, ინგლისური ენის გაუმჯობესებასა და პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად, ასევე უცხოელ ახალგაზრდებთან ახლო ურთიერთობების დამყარებისთვის.

,,თბილისის ახალგაზრდობის ფორუმი 2018"

მიმდინარე წელს, ქ. თბილისის მერიის ორგანიზებით განხორციელდა მასშტაბური პროექტი ,,თბილისის ახალგაზრდობის ფორუმი 2018'', სადაც განისაზღვრა ძირითადი მუნიციპალური პრიორიტეტები:

- ახალგაზრდული და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების განხორციელების გამჭირვალობა.

შეიქმნა პორტალი „შენი იდეა ქალაქის მერს"

პორტალის საშუალებით, ახალგაზრდებს და არა მხოლოდ, აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი პროექტები. ასევე, საშუალება აქვთ სხვის მიერ წარმოდგენილ პროექტებზე იმსჯელონ და საკუთარი არჩევანი დააფიქსირონ.

ფესტივალი „თბი-ლისი"

მერიის ინიციატივით 28 აპრილს, ლისის ტბაზე ფესტივალი „თბი-ლისი'' გაიხსნა, რომელიც სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. ფესტივალის მიზანი იყო:

- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- მასობრივი სპორტის განვითარება;
- სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია;
- ახალგაზრდული ბენდების და მეწარმეების ხელშეწყობა.

გარბენი „თბილისი"

მიმდინარე წლის 24 ივნისს დაფუძნდა გარბენი „თბილისი". იდეა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

კომისიური მუშაობა

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

კომისიას ჩატარებული აქვს 31 (ოცდათერთმეტი) სხდომა. განხილულია განკარგულების 223 (ორასოცდასამი) და დადგენილების 111 (ასთერთმეტი) პროექტი.

გიორგი ჩაკვეტაძე (2017 წლის 17 ნოემბრიდან - 2018 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით) დაესწრო 25 სხდომას და მონაწილეობა მიიღო 147 განკარგულებისა და 100 დადგენილების პროექტის განხილვაში.

ფრაქციული მუშაობა

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ჩატარებული აქვს 33 სხდომა, განხილულია 53 საკითხი, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენგეგმის პროექტი;
- დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის პროექტი;
- კომისიების ანგარიშების მოსმენა;
- დასაქმების ფორუმის მოწყობა;
- პრობლებური მშენებლობების საკითხი და სხვა.

გიორგი ჩაკვეტაძე (2017 წლის 1 დეკემბრიდან - 2018 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით) დაესწრო 28 სხდომას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

2017 წლის 15 ნოემბრის N10 განკარგულებით დამტკიცდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 8 *(რვა)* წევრიანი შემადგენლობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს თბილისის მასშტაბით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა წამოადგენს, რაც ხორციელდება სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების შემუშავებითა და ღონისძიებების გამართვით.

კომისია ჩართულია სპორტის, როგორც სამოქალაქო ერთიანობის ხელშეწყობისა და ინტეგრაციულ პროცესებში დადებითი როლის მქონე ფაქტორის გამოყენების კამპანიაში.

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება:

- ✓ ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ✓ დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ - სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ✓ ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ✓ დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტიურ პროპაგანდას, სხვადასხვა სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- ✓ დედაქალაქის მოსახლეობისთვის მოქმედ და ვეტერან სპორტის მუშაკთათვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;
- ✓ ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- ✓ დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.

კომისიის სხდომები

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა **19** *(ცხრამეტი)* სხდომა (17.11.2017წ. 20.11.2017წ. 05.12.2017წ. 14.12.2017წ. 26.12.2017წ.

16.01.2018წ. 29.01.2018წ. 16.02.2018წ. 20.02.2018წ. 01.03.2018წ. 12.04.2018წ. 30.04.2018წ. 31.05.2018წ. 15.06.2018წ. 20.07.2018წ. 27.07.2018წ. 21.08.2018წ. 20.09.2018წ. 02.10.2018წ.) და განიხილა **55** (ორმოცდათხუთმეტი) საკითხი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების, განკარგულებების პროექტები. მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების, სამსახურის უფროსების, გამგებლების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებების პროექტები, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დადგენილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის'' პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე განკარგულების პროექტი.
- ანგარიშების მოსმენა, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის, ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, მიერ სპორტული და ახალგაზრდული პროგრამის/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I და II კვარტალი).*
- სპორტის და ახლაგაზრდულ თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამა/პროექტები და განცხადებები, მათ შორის კომისიის ინიციატივები ,,საქართველოს პირველი ახალგაზრდული ფორუმი"-ს დაფუძნება, კამპანია ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს", მუნიციპალური სპორტული ბაზების შექმნა და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია **16** *(თექვსმეტი)* სამართლებრივი დასკვნა და **19** *(ცხრამეტი)* კომისიის სხდომის ოქმი.

კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საკურატორო სფეროში შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. კომისია სამსახურთან თანამშრომლობითა და კოორდინააცით ხელს უწყობს დედაქალაქში სპორტისა და ახალგაზრდული სფეროს განვითარებას.

დედაქალაქის ბიუჯეტში, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით გათვალისწინებულია *14 425,1* მლნ. ლარი (ივლისის ცვლილებით).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მოიცავს შემდეგ პროგრამებს:

სპორტის მიმართულება

პროგრამა სპორტის განვითარების ხელშეწყობა *(კოდი 08.06) - **12 442 000** მილიონი ლარი.*

პროგრამა გათვალისწინებულია სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების, სპორტული ღონისძიებების, მწვრთნელთა მხარდაჭერის, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების, პარასპორტის განვითარების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის დასაფინანსებლად.

წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად განხორციელდა სპორტული პროექტები:

- **სპორტული ღონისძიებები (08.06.01) - 3 500,0 მილიონი ლარი;**

სპორტის 30-მდე სახეობაში სპორტსმენებს სპორტული ინვენტარი და ეკიპირება გადაეცათ. პროგრამა **წელს პირველად** განხორციელდა და ამ პროგრამით ისარგებლეს, როგორც პროფესიონალმა, ასევე მოყვარულმა სპორტსმენებმა. მიმდინარე წელს ამ პროგრამისთვის

ბიუჯეტში გათვალისწინებულია დაახლოებით 600 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია სპორტულ მიმართულებებზე ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

გარდა ამისა, 2018 წელს პირველად განხორციელდება მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისათვის თბილისელი სპორტსმენების მატერიალური წახალისება.

- **მწვრთნელთა მხარდაჭერის** პროგრამა (კოდი 08.06.02) - **2 296 900** მილიონი ლარი ფინანსდება **350** მწვრთნელი.

- **სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა** (კოდი 08.06.04) - **5 106 600 მილიონი ლარი;**
  - ✓ განხორციელდა **3 მულტიფუნქციური ცენტრის** პროექტირება **და 2 მათგანის - ვარკეთილსა და დიდ დიღომში სამშენებლო სამუშაოების მომზადება;**
  - ✓ შენდება და აღიჭურვება წყნეთის საჭიდაო დარბაზი;
  - ✓ ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბანში, კომპლექსური სპორტული ცენტრი გაიხსნა, რომელიც 3247 კვ/მ-ზე მდებარეობს და 1500-ზე მეტ მომხმარებელზეა გათვლილი. მასში განთავსებულია ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი, 2 საცურაო აუზი (დიდი-25 მ., პატარა-15 მ.) ფიტნეს-დარბაზი, გასახდელები, სველი წერტილები, კაფე და სპორტული მაღაზია. ცენტრში იქნება ასევე ცურვის, წყალბურთის, ჭიდაობის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის, აღმოსავლური ორთაბრძოლების და ფიტნესის სექციები;

- **წარმატებული სპორტსმენი** ბავშვების წახალისება (კოდი 08.06.05) - 390 000 ლარი; პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 18 წლამდე ასაკის **260** ბავშვი სპორტის **34** სახეობაში.

- **პარასპორტის** განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08.06.06) - **1 148 500** მილიონი ლარი;

პარაცენტრში, რომელიც შშმ პირებზე სრულად ადაპტირებული ერთადერთი ცენტრია, ვითარდება სპორტის **14** სახეობა, რომლებშიც ჩართულია **185** პარასპორტსმენი. პროგრამის მიზანია შშმ პირთა საზოგადოებაში და საერთაშორისო პარასპორტულ სამყაროში ინტეგრაცია, რესოციალიზაციაში დახმარება, თბილისში პარასპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია შშმ პირებს შორის,

დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ჩართვა პარასპორტულ ღონისძიებებში და რესოციალიზაციის პროცესებში მათი დახმარება;

ახალგაზრდული მიმართულება

ახალგაზრდული ღონისძიებები (კოდი 08.08) – 1 983,1 მილიონი ლარი.

- **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (08.08.01) – 1 230,2 ლარი;**

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდული, ადგილობრივი და საერთაშორისო ინიციატივების წახალისებასა და ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების" ხელშეწყობას.

- **თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08.08.02) — 752 900 ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს არაფორმალური განათლების გაძლიერებას, რომლის მიზანია ახალგაზრდების უწყვეტი განვითარებისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნვა და მოხალისეობრივი ინსტიტუტის გაძლიერება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ***გარე–გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების დამონტაჟება გადავიდა რაიონული გამგეობების კეთილმოწყობის ღონისძიებების ქვეპროგრამაში და თანხები გადანაწილებული იყო საჭიროებისამებრ.***

ასევე სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული პროექტებისთვის თითოეულ გამგეობას გამოყოფილი აქვთ **100 000** ლარამდე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2015 წელს შექმნილი პროგრამების განმხილველი კომისიის წევრია, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ,,სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08.06.01) და ,,ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა'' (კოდი 08.08.01) ფარგლებში შემოსულ პროექტებს განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მათი დაფინანსების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის 19 სხდომა და განხილულია 214 პროექტი.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივები

- ***„ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმი 2018"***

ბოლო წლებია, საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკა განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. 2014 წლის აპრილში მიღებული ,,ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის'' მიხედვით განისაზღვრა სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პრიორიტეტები. გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა 2015-2020'' და ასევე, საქართველოს პარლამენტის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის დაკვეთით ჩატარდა „საქართველოს ახალგაზრდული სახელმწიფო პოლიტიკის საბაზისო კვლევა'', რომელიც საფუძვლად დაედება 2018-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას ახალგაზრდული მიმართულებით.

ზემო აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტების და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების პროცესში მუნიციპალიტეტების როლი ერთ-ერთი უმთავრესია, შესაბამისად ეს გარემოებები გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის დაფუძნების საფუძველი.

ფორუმის მიზანი იყო მუნიციპალიტეტების საკრებულოების ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრის გზით, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება.

ფორუმში დელეგატის სტატუსით 64 (სამოცდაოთხი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრები (ასაკი 21-29 წელი) მონაწილეობდნენ. მათ წარმოადგინეს საკუთარი საქმიანობის შესახებ მოხსენებები, შეთანხმდნენ თანამშრომლობის შემდგომ ნაბიჯებზე, შეიმუშავეს საერთო წინადადებები, რაც ერთიან რეზოლუციაზე ხელმოწერით დაადასტურეს.

1. საქართველოს ,,ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის'' დაფუძნება;

2. მულტი-მუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერება;

3. დემოკრატიის მნიშვნელობა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობაში;

4. ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობაში;

5. ახალგაზრდებში ძალადობის აღმოფხვრა;
6. პოლიტიკაში ძალადობის ენის აღმოფხვრა;
7. ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების ხელშეწყობა;
8. ახალგაზრდული ჯგუფების წახალისება და დაცვა;
9. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებლობის აღნიშვნა;
10. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
11. მოხალისეობის ინსტიტუტის ხელშეწყობა;
12. და სხვა.

ფორუმს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრები, დედაქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, დიპლომატიური კორპუსის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

მსგავსი მასშტაბური ფორუმის ჩატარება ყოველწლიურად იგეგმება. თუმცა, კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნულ ფორუმებს შორის მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრების ჩატარება ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომისია გეგმავს ითანამშრომლოს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან აღნიშნული ინიციატივის განხორციელების მიზნით.

ამ ეტაპზე, ფორუმის ფარგლებში დაიგეგმა და ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ***კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს";***

მიმდინარე წლის 5 ივნისიდან მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქების ცენტრალურ სკოლებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს დაიწყო''. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა ოთხი შეხვედრა, 158-ე, 85-ე, 199-ე და 174-ე საჯრო სკოლებში. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, დეპუტატები და სხვადასხვა

სფეროს წარმატებული სპორტსმენები საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ და ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტისგან მიღებულ სარგებელზე ესაუბრნენ.

კამპანიის მიზანია სხვადასხვა აქტივობების განხორციელების გზით, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. კამპანია პერმანენტულად მიმდინარეობს და მოიცავს ყველა რაიონის ცენტრალურ სკოლებს.

- ***მუნიციპალური სპორტული ბაზის შექმნა;***

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, დედაქალაქში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და სპორტული აქტივობების კონსოლიდაციის მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებს შორის (საკრებულო, მერია, გამგეობები, ა(ა)იპ-ები, სსიპ-ები), სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ბოულინგი, ბილიარდი, ფრენბურთი, აირსოფტი, კარტინგი, მაგიდის ტენისი, ჭადრაკი, ნარდი, კიბერსპორტი, ექსტრემალური სპორტი, სამაგიდო თამაშები, სხვა) სპორტის მოყვარულთა მუნიციპალური საერთო ბაზის წარმოება დაიწყო. პირველ ეტაპზე კომისიის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად მონაცემების მიღება განხორციელდა. ბაზა დამუშავების პროცესშია და მისი სრულყოფის შემდეგ, სოციალურ ქსელში შეიქმნება თემატური ელექტრონული ჯგუფები, რაც გაადვილებს მასობრივი სპორტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს. სპორტულ აქტივობებში ჩართვა ამ ეტაპზე გამოთქვა მუნიციპალიტეტის 330 (სამასოცდაათმა) თანამშრომელმა. ინიციატივის ფარგლებში იგეგმება ტურნირის ჩატარება.

- ***საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრების ვიდეო მიმართვები***

კამპანიის ფარგლებში სენაკის, ქუთაისის, გორის, ზუგდიდისა და რუსთავის საკრებულოს ახალგაზრდა წევრებმა თავიანთ ქალაქებში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტებზე ისაუბრეს. ვიდეო მიმართვების ჩაწერისა და გავრცელების მიზანი სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროექტებსა და საჭიროებებზე ინფორმაციის გაზიარება იყო. ვიდეო მიმართვები კამპანიური ხასიათისაა და მომავალშიც გაგრძელდება.

- ***„ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი 2018" - რეგიონული შეხვედრა;***

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება ყოველწლიურად იგეგმება. თუმცა, კომისიას მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ფორუმებს შორის მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრების ჩატარება ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG), ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერითა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებით ქ. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტში „ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი 2018''-ის რეგიონული შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნული შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდა დელეგატთა მონაწილეობით შექმნილი პლატფორმის გაძლიერებას, ბიუჯეტის პროექტის შეფასების კრიტერიუმების განხილვასა და 2019 წლის საფინანსო დოკუმენტის დაგეგმვის პროცესში მათი გამოცდილების გათვალისწინებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

შეხვედრაში საქართველოს პარლამენტის და წარმომადგენლობითი ორგანოების მაღალი რანგის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ახალგაზრდობის, კულტურის, ევროპული სკოლის და ციფრული საზოგადოების პროექტის მენეჯერი და ასევე, საქართველოს 50 მუნიციპალიტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრები და მოწვეული სტუმრები მონაწილეობდნენ.

შეხვედრა ორ ეტაპად წარიმართა. პირველი ეტაპი ოფიციალური სტუმრების მისალმებასა და ფორუმის დაფუძნების მიზნების გაცნობას, ხოლო მეორე ეტაპი დელეგატთა სამუშაო ჯგუფებში გადანაწილებას, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში პრიორიტეტების განსაზღვრასა და საუკეთესო პრაქტიკის წარდგენას დაეთმო.

სამუშაო ფორმატის დასრულების შემდგომ დელეგატებმა პრეზენტაციის სახით, საკუთარი თვითმმართველობების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და ფორუმის პლატფორმის გაძლიერების მიზნით ინიციატივები წარმოადგინეს.

მრგვალი მაგიდის ფორმატში მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგ საკითხებზე:

1) ბიუჯეტის პრიორიტეტები;

2) ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში საზოგადოების (ახალგაზრდული ჯგუფების) ჩართულობის უზრუნველყოფა;

3) მუნიციპალიტეტებში არსებული საუკეთესო პრაქტიკა;

4) ფორუმის პლატფორმის გაძლიერების მიზნით ინიციატივების გაცვლა.

კენჭისყრის საშუალებით დელეგატებმა 8 ინიციატივა გამოავლინეს, რაც რეზოლუციის სახით შემუშავდა:

- სკოლებში საკითხავი ლიტერატურის შეტანა ფორუმის ახალგაზრდა დელეგატების მიერ, კითხვის პოპულარიზაციის მიზნით (კამპანიების წარმოება);
- მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული სივრცის შექმნა, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ სხვადასხვა პროექტები განახორციელონ, შეხვედრები და ღონისძიებები ჩაატარონ - (მინიმუმ 100 მ2);
- მუნიციპალიტეტების ხელშეწყობით ახალგაზრდებისთვის საოფისე პროგრამებში ცოდნის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგ კურსების ჩატარება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდა დელეგატების გაცნობითი ხასიათის გასვლითი სამუშაო შეხვედრის დაგეგმვა და მომდევნო ფორუმის ჩატარება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა (ფორუმის ჩატარების ადგილი საჭიროებს დაზუსტებას).
- ახალგაზრდულ ჯგუფებთან თემატური შეხვედრების დაგეგმვა რეგიონებში;
- ახალგაზრდების მიერ კვლევების ჩატარება საკუთარ თემში, ახალგაზრდებში განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით;
- ფორუმის წევრების გადამზადება საჯარო გამოსვლების მიმართულებით;
- ქართული ტრადიციული სპორტის სახეობებისა და თამაშების ხელშეწყობა/განვითარება (სასწავლო-სამწვრთნელო დარბაზის, ეკიპირების, მწვრთნელთა მხარდაჭერის და ა.შ უზრუნველყოფის საშუალებით) მუნიციპალიტეტებში;

შეხვედრის ბოლოს, კომისიამ (წევრები: საქართველოს პარლამენტის წევრი, დიმიტრი მხეიძე; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, დავით მელუა; ევროკავშირის წარმომადგენელი, ნინო სამველიძე)

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან ორი საუკეთესო პრაქტიკის მქონე წყალტუბოსა და რუსთავის მუნიციპალიტეტები გამოავლინა, რომლებიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციამ სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა, ხოლო მონაწილე დელეგატებს სერტიფიკატები გადასცა.

შეხვედრა ,,ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული კვირეულის'' ფარგლებში მოეწყო, რომელიც ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის ყოველწლიური ღონისძიებაა. მისი მიზანია ევროპული გამოცდილების გაზიარება და ადგილობრივ თვითმმართველობებში დამკვიდრება.

- *კამპანია ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში";*

  - საქართველოს მოკრივეთა 22 წლამდელთა და ძალოსანთა ნაკრების წარმატებული წევრებისა და ფედერაციების წარმომადგენლების მიღება;

სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კამპანიის ფარგლებში კრივსა და ძალოსნობაში წარმატებულ სპორტსმენებს საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩაკვეტაძემ და საკრებულოს დეპუტატებმა უმასპინძლეს.

საკრებულოს წევრებმა წარმატებულ სპორტსმენებს, სპორტში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, მადლობა გადაუხადეს, დედაქალაქში სპორტის მიმართულებით 2018 წლის პრიორიტეტები გააცნეს და სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

საქართველოს მოკრივეთა 22 წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე და 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მონაწილე სპორტსმენებმა ჩემპიონატზე გუნდური მესამე ადგილი აიღეს, რაც ქართული კრივის ისტორიაში პირველად მოხდა. ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ძალოსნებმაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, მათ 10 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

  - საქართველოს სამბოს ნაკრების წევრების, კონტაქტური კარატეს წარმატებული სპორტსმენების და ფედერაციის წარმომადგენლების მიღება.

კამპანიის ფარგლებში სამბოსა და კონტაქტურ კარატეში წარმატებულ სპორტსმენებს საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ და საკრებულოს დეპუტატებმა უმასპინძლეს. ღონისძიებას კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საკრებულოს წევრებმა სპორტსმენებს, სპორტის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, მადლობა გადაუხადეს, დედაქალაქში, სპორტის მიმართულებით, 2018 წლის პრიორიტეტები გააცნეს და სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

საქართველოს სამბოს ნაკრებმა მიმდინარე წელს, საბერძნეთში, ქალაქ ათენში ევროპის 2018 წლის ჩემპიონატზე, გუნდური II ადგილი დაიკავეს და 2 ოქროს, 7 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. რაც შეეხება კონტაქტურ კარატეს, 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა კარატისტებმა ერთი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

- ***საქველმოქმედო აქცია;***

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით და ორგანიზებით წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

აქციის ფარგლებში, საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებმა დღის ცენტრების- ა(ა)იპ ,,ახალი ნაბიჯები“ და ,,ბელურები'' 150-მდე ბენეფიციასრს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და მათ საკვები პროდუქტები, ტკბილეული, სათამაშოები, წიგნები, ტანსაცმელი და საახალწლო ნობათი გადასცეს. მსგავსი აქციები პერმანენტულად კვლავ გაიმართება.

სამუშაო შეხვედრები

- **სამუშაო შეხვედრა საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან;**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩაკვეტაძის ინიციატივით, მიმდინარე წლის 12 იანვარს საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებთან სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. საკრებულოს წევრებმა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას თავიანთ სამაჟორიტარო ოლქებში ამ მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ წინადადებები მიაწოდეს. აღნიშნული რეკომენდაციები განსახილველად თბილისის მერიას, გამგეობებსა და სამინისტროებს გადაეგზავნათ.

გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე მიღებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის ერთიანი სტანდარტის შემუშავება;
- ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სატენდერო წინადადებაში შესაბამისი კომპონენტების ჩადება და კონტროლის მექანიზმების გამკაცრება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტირება და მშენებლობის პროცესში შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინება;
- არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ღონისძიებების ჩატარება;
- მულტიფუნქციური ცენტრების ასაშენებლად შეირჩა ლოკაციები: (ავჭალა, ლიბანის ქ. N6/9 (საკადასტრო კოდი 01.11.03.007.149); ვარკეთილი 3, 3მ/რ კორპ. 319 (180-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.19.39.010.066); დიდი დიღომი; თბილისის ზღვის ტერიტორია);
- დედაქალაქში დაცული ველოსადგომების განთავსება;
- ზემო და ქვემო ფონიჭალაში ბუნებრივი ან ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის აშენება (აღნიშნული მოსაზრება გამოითქვა მოსახლეობის მაღალი მომართვიანობიდან გამომდინარე);
- მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში გლდანის რაიონში (გლდანის მე-2 მ/რ მე-40, 41, 42, 43 კორპუსებს შორის და გმირ კურსანტთა ქ. № 1, შესახვევი I,) სკვერის მოწყობა და ტრენაჟორებით აღჭურვა;
- სტადიონების გაყიდვის არაჯანსაღი პრაქტიკა ჩანაცვლდეს ჯერ კიდევ მუნიციპალურ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სტადიონების განახლება/რეკონსტრუქციით, ხოლო მესაკუთრის კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში, განხორციელდეს უკვე გაყიდული სტადიონის სანაცვლოდ, მისთვის ალტერნატიული ტერიტორიის შეთავაზება.

კომისიის წევრებისა და მაჟორიტარი დეპუტატების შეხვედრები ყოველ ექვს თვეში ერთხელ გაიმართება.

- ***სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან;***

კომისიის ინიციატივით, მიმდინარე წლის 3 მაისს ახალგაზრდული მიმართულებებით მომუშავე ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მოწვეულ სტუმრებს ახალგაზრდული მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და მომავალი პრიორიტეტები გააცნო, რის შემდეგაც სამომავლო თანამშრომლობის გზებზე შეთანხმდნენ.

შეხვედრას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო სექტორისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების წარმოამდგენლები ესწრებოდნენ. მგსავსი შეხვედრა ყოველ 6 თვეში ერთხელ გაიმართება.

- ***სამუშაო შეხვედრა სპორტულ ფედერაციებთან და მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებთან;***

კომისიის ინიციატივით, მიმდინარე წლის 8 მაისს სპორტული ფედერაციებისა და მუნიციპალური ა(ა)იპების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო დედაქალაქში სპორტის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ფედერაციებთან და ა(ა)იპ-ებთან სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა.

შეხვედრაზე სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები და მიმდინარე პრიორიტეტები განიხილეს.

შეხვედრას 50-მდე უწყების წარმომადგენელი, მათ შორის თბილისის საკრებულოს წევრები, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი, ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიტენტი, სამინისტროსა და პარლამენტის თანამშრომლები, თბილისის სპორტული ფედერაციებისა და მუნიციპალური ა(ა)იპების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. მგსავსი შეხვედრა ყოველ 6 თვეში ერთხელ გაიმართება

- ***სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;***

კომისიის ინიციატივით, მიმდინარე წლის 26 ივლისს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და „ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმის" ფარგლებში ერთიანი თანამშრომლობის ხედვის ჩამოყალიბება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მოწვეულ სტუმრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ორგანიზაციები ფორუმთან დაკავშირებით, თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩაკვეტაძემ მიმდინარე წლის, 6 თვის საქმიანობის ანგარიში, პროექტის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმის" პრეზენტაცია წარადგინა და მონაწილეებს აღუთქვა რომ კომისია გააგრძელებს მსგავსი სამუშაო ფორმატით მუშაობას.

- ***სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია „World Vision - საქართველოს" წარმომადგენელთან;***

მიმდინარე წლის 6 მარტს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებასა და ადგილობრივ თვითმმართველობის საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობისა და ჩართულობის გაძლიერების საკითხების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის „World Vision - საქართველოს" წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობასა და არასამთავრობო სექტორს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და ახალგაზრდული მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის განვითარება.

- ***სამუშაო შეხვედრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერ ბრეტ ბაროუმენთან;***

მიმდინარე წლის 25 იანვარს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე ქ. თბილისის საკრებულოში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერს ბრეტ ბაროუმენს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი იყო საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება და ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება.

შეხვედრაზე კომისიის თავმჯდომარემ ამერიკელ მეცნიერს ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებსა და ახალგაზრდულ სფეროში ჩართული სხვა ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

შეხვედრა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) წარმომადგენლის ინიციატივით გაიმართა.

- ***სამუშაო შეხვედრა თბილისის რაიონულ გამგეობებთან;***

თბილისის საკრებულოში, მიმდინარე წლის 20 ივლისს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და რაიონული გამგეობების საქმიანობის ანგარიში მოისმინეს.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია გეგმავს 6 თვეში ერთხელ მიიღოს დეტალური ინფორმაცია ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს.

- ***სამუშაო შეხვედრა საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელთან გაეროში, ლიკა ტორიკაშვილთან;***

კომისიის ინიციატივით, მიმდინარე წლის 5 სექტემბერს, ქ. თბილისის საკრებულოში გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის ახალი წარმომადგენლის გაცნობა, მისი მოსაზრებებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით სამომავლო ხედვის მოსმენა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტების გაცნობა და სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა.

შეხვედრას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის საკრებულოს წევრი,

დავით რურუა, გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის ახალი წარმომადგენელი, ლიკა ტორიკაშვილი და ასევე, მისი წინამორბედი, გიორგი ტუმასიანი ესწრებოდნენ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მოწვეულ სტუმრებს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკა და დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები წარუდგინა.

ისაუბრეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა:

- ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობა ქვეყნისთვის და დედაქალაქისთვის;
- გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენის როლი;
- მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული პროგრამები;
- ახალგაზრდების წვლილი მშვიდობის მშენებლობაში;
- ოკუპირებული ტერიტორიები და ამ საკითხის აფიშირება გენერალურ ასამბლეაზე;
- მოხალისეობის მხარდაჭერა;
- ევროპასა და ამერიკაში აღიარებული წარმატებული პროექტების საქართველოში განხორციელება;
- ადგილობრივ დონეზე დედაქალაქის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება;
- სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და სხვა.

➢ ***სამუშაო შეხვედრა მინი-ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტთან, ზურაბ გელაშვილთან;***

მიმდინარე წლის 25 ივლისს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე საქართველოს მინი-ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტ ზურაბ გელაშვილს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის მიღება და სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა იყო.

➢ ***სამუშაო შეხვედრა თბილისის გენგეგმის პროექტთან დაკავშირებით***

მიმდინარე წლის 10 აგვისტოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თაობაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

დეპუტატებმა ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ ერთად სპორტული სივრცეების, საკანონმდებლო ჩარჩოს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციასა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით იმსჯელეს და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე, გენგეგმაში გასათვალისწინებელი ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს.

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონიტორინგი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში ამ ეტაპზე 9 სპორტული და 2 ახალგაზრდული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომელთა საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია წლის განმავლობაში პერიოდულად გეგმავს.

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, კომისიის წევრებთან და გლდანის მაჟორიტარ დეპუტატთან ოთარ გრიგოლიასთან ერთად, მიმდინარე წლის 18 იანვარს, ***„აიპ ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსურ სპორტულ ცენტრში“*** (გლდანის საცურაო აუზი) მიმდინარე ***სასწავლო პროცესს გაეცნო.***

  საკრებულოს წარმომადგენლებს, სპორტული ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი ფურცელაძემ საცურაო აუზი, ბავშვებისა და მოზრდილებისთვის განკუთვნილი სავარჯიშო დარბაზები დაათვალიერებინა და ცენტრის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

  გლდანის საცურაო აუზის შენობა 2012 წლის აგვისტოში გაიხსნა და თვეში საშუალოდ 1500 ადამიანს ემსახურება.

  საცურაო აუზის მონახულების შემდეგ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე გლდანის მაჟორიტარ დეპუტატ შალვა ოგბაიძესთან ერთად ***ავჭალაში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის ინიციატივას გაეცნო და არსებული ტერიტორია დაათვალიერა.***

- თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები და კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე კრწანისის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, მიმდინარე წლის 28 ნოემბერს, ***„ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში“*** მიმდინარე სასწავლო პროცესს გაეცნენ.

  საკრებულოს წარმომადგენლებს თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ხელმძღვანელმა კახა აბულაძემ ცენტრის შენობა

დაათვალიერებინა და მისი ფუნქციონირებისა და მოქმედი სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.
აღსანიშნავია, რომ „ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში" ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სასწავლო კურსები ფუნქციონირებს. ცენტრის სერვისებით სარგებლობა ახალგაზრდული და ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციებისთვის უფასოა.

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე მერის მოადგილე სოფიო ხუნწარიასთან, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროს, ირაკლი გვილავასთან და საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარ ლევან დავითაშვილთან ერთად, მიმდინარე წლის 18 აპრილს ვაზისუბანში სარაგბო კომპლექსის მშენებლობის პროცესს გაეცნო.

- ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძემ თბილისის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ რიმა ბერაძესთან ერთად ***ზემო ჩუღურეთში მდებარე ორი ახალი სპორტული მოედანი*** დაათვალიერა.

  გაწეული სამუშაოების დაათვალიერების შემდეგ გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაა.

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩაკვეტაძემ ქ. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან, ირაკლი გვილავასთან ერთად, მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, ***გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის*** სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

  სპორტულ ბაზაზე ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი, 2 საცურაო აუზი, ფიტნეს-დარბაზი, კაფე და გასახდელები მოეწყობა. სპორტული კომპლექსი მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს გაიხსნა და სრული დატვირთვის შემდეგ ცენტრი 1000-ზე მეტ ბენეფიციარს მოემსახურება.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, ადგილობრივ თვითმმართველობას დაქვემდებარებულ ყველა სპორტულ და ახალგაზრდულ ცენტრში მიმდინარე სასწავლო პროცესების გაცნობას პერმანენტულად განაგრძობს.

სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში ჩართულობა

- ***ახალგაზრდული პორტალის youth.municipal.gov.ge პრეზენტაცია;***

მოხალისეთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „ფაბრიკაში'' ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ორგანიზებით, ახალგაზრდული პორტალის youth.municipal.gov.ge პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, კომისიის წევრები მიხეილ ამაშუკელი და დავით რურუა დაესწრნენ.

პორტალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ახალგაზრდული ინიციატივების მართვაა, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდებს შეუძლიათ საერთო იდეის გარშემო გაერთიანდნენ.

პორტალის საშუალებით ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმიანობის კოორდინაცია, მათი ერთ სივრცეში გაერთიანება და დედაქალაქში არსებულ ახალგაზრდულ სერვისებში და პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა უფრო ხელმისაწვდომი გახდება.

პროექტი მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების'' ინიციატივით შემუშავდა.

- ***პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი მერიასთან ერთად'' შემაჯამებელი ღონისძიება;***

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს, პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ისწავლე და დასაქმდი მერიასთან ერთად" შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური სხვადასხვა სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებთან („იკაროსი"; „სპექტრი" და „მერმისი") ერთად ახორციელებს მოკლევადიან პროფესიულ პროგრამებს.

პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი პროფესიული სასწავლო კურსების მეშვეობით, მიმდინარე წლის განმავლობაში, გადამზადდა 552 თბილისში რეგისტრირებული მოქალაქე. აღნიშნული კურსების დასრულების შემდეგ გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი. პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში უკვე დასაქმდა 265 კურსდამთავრებული.

შემაჯამებელ ღონისძიებას ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ირაკლი გვილავასთან და საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი ესწრებოდნენ.

- ***საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის „წლის წიგნის" პრეზენტაცია;***

თბილისის „ივენთ ჰოლში " საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის „წლის წიგნის" პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, თავმჯდომარის მოადგილე დავით უჯმაჯურიძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, ამავე კომისიის წევრი გიორგი მუსხელიშვილი, დავით რურუა და მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი ჯაბა ჯიშკარიანი.

საკრებულოს წევრები, სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, კალათბურთის ფედერაციის მიერ გასული 4 წლის მანძილზე ორგანიზებულ საკალათბურთო ღონისძიებებს გაეცნენ.

- ***მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვა;***

გმირთა მოედანზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი მოხატვა 9 დეკემბერს დასრულდა. ღონისძიების მონაწილე მხატვრებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე შეხვდა და მათთან ერთად დაათვალიერა ე.წ. STREET ART-ის ნიმუშები. თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდნენ საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და ვაკის მაჟორიტარი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

მიწისქვეშა გადასასვლელი დასუფთავდა, მოწესრიგდა განათება და უახლოეს პერიოდში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდება.

აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართულნი არიან ადგილობრივი და უცხოელი ახალგაზრდა მხატვრები, რასაც ორგანიზებას უწევს ,,თბილსერვის ჯგუფი" და მერიის შესაბამისი სამსახურები.

კამპანიის მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება და ამ მიმართულების პოპულარიზაცია.

- ***პროექტის „BE Lingual" მონაწილეთათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია;***

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე პროექტის „BE Lingual" მონაწილეთათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიას დაესწრო. სერტიფიკატი 150 ახალგაზრდას გადაეცა.

სიტყვით გამოსვლისას, გიორგი ჩაკვეტაძემ მონაწილეებს პროექტში წარმატება მიულოცა და ამ მხრივ აქტივობების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან იმედი გამოთქვა, რომ მიღებულო ცოდნა ახალგაზრდებს მომავალ საქმიანობაში დაეხმარება.

პროექტი ა(ა)ი.პ "თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების", საერთაშორისო ორგანიზაცია „AIESEC საქართველოს"-ს ორგანიზებით და თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარე წლის, 9 ოქტომბრიდან - 22 დეკემბრამდე განხორციელდა.

პროექტი თბილისში მცხოვრებ 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის, ინგლისური ენის სასაუბრო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში, ასევე უცხოელ ახალგაზრდებთან ახლო ურთიერთობების დამყარებაში დახმარების გაწევას ისახავდა მიზნად.

- ***ქალთა საერთაშორისო დღე;***

თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ირაკლი გვილავასთან ერთად, პარასპორტსმენებს შორის მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობასა და მშვილდოსნობაში გამართულ ტურნირებს დაესწრო.

ღონისძიება თბილისის მერიისა და პარასპორტის განვითარების ცენტრის ორგანიზებით, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა.

ტურნირებში საერთაშორისო მასშტაბით წარმატებული პარასპორტსმენი ქალები მონაწილეობდნენ. საჩვენებელი მატჩი ჩაატარა საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრებმაც. ღონისძიების ბოლოს ყველა მონაწილეს თბილისის მერიისგან სამახსოვრო პრიზები გადაეცათ.

- ***მარათონი „ჩემი გაზაფხული“;***

ჩუღურეთის რაიონში ტრადიციული მარათონი - ჩემი გაზაფხული'' გაიმართა. მარათონი რაიონის გამგებლის ზურაბ ჩიკვილაძის ინიციატივით, უკვე მეოთხე წელია ტარდება. შეჯიბრმა სტარტი დავით აღმაშენებლის გამზირის N82-დან აიღო.

ღონისძიებას თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე დაესწრო. მან გამარჯვებულები დააჯილდოვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საკრებულოს დეპუტატები ვლადიმერ ძნელაძე, რიმა ბერაძე და ილია ჯიშკარიანი.

მარათონში ჩუღურეთის 14 სკოლის 140 მოსწავლე მონაწილეობდა. ღონისძიებას თბილისის მერიისა და გამგეობის თანამშრომლები, პარლამენტისა და საკრებულოს დეპუტატები და ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობა ესწრებოდნენ.

- ***თბილისის ახალგაზრდობის ფორუმი 2018 - „შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის";***

ქ. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების'' ორგანიზებით ,,თბილისის ახალგაზრდობის ფორუმი 2018" ჩატარდა.

ფორუმში თბილისში მოქმედი სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო, ადგილობრივი საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, ფორუმზე მოწვეულნი იყვნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე, მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიისის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და საკრებულოს სხვა დეპუტატები.

ფორუმის მიზანს წარმოადგენდა განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობის განვითარება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და თბილისში მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის; მუნიციპალური პრიორიტეტების განსაზღვრასა და პროგრამების განხორციელებაში ახალგაზრდული და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობა და თბილისში განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების მიზნით ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

- ***ფესტივალი „თბი-ლისი“;***

თბილისის მერიის ორგანიზებით მიმდინარე წლის 28 აპრილს ლისის ტბაზე ფესტივალი „თბი ლისი“ გაიხსნა.

ღონისძიებას თბილისის მერი კახა კალაძე, მერის მოადგილესთან, სოფიო ხუნწარიასთან, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან, ირაკლი გვილავასთან. ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან, გიორგი ჩაკვეტაძესთან და საკრებულოს სხვა დეპუტატებთან ერთად დაესწრო.

ფესტივალი თბილისის მერიის ორგანიზებით იმართებოდა მიმდინარე წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით და მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მასობრივი სპორტის განვითარებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას და მოქალაქეების დასვენების, გართობისა და სპორტული აქტივობისთვის საჭირო გარემოს შექმნას.

ფესტივალის ფარგლებში ტარდებოდა ტურნირები სპორტის სახეობაში, მათ შორისაა კალათბურთი, მინი გოლფი, მაგიდის ჩოგბურთი, მეკლდეურობა, ამერიკული ფეხბურთი, კარატე, ბოჩა, ფრისბი, მკლავჭიდი, გარბენი, ჭადრაკი, ჩერლიდინგი და მჯდომარე ფრენბურთი. ასევე, იმართებოდა კონცერტები სხვადასხვა ჯგუფებისა და მომღერლების მონაწილეობით და ეწყობოდა ART მარკეტი, სადაც საქართველოში დამზადებული ხელნაკეთი აქსესუარების გამოფენა–გაყიდვა მიმდინარეობდა.

- ***პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სტრატეგიისა და 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია;***

მიმდინარე წლის 25 აპრილს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სტრატეგიისა და 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას დაესწრო.

დოკუმენტი ორი მთავარი კომპონენტისგან შედგება: სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში წარმოდგენილია კომიტეტის ხედვა დარგობრივი პოლიტიკის საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით და საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები მომდევნო სამი წლისათვის. ხოლო სამოქმედო გეგმა აერთიანებს ინფორმაციას 2018-2020 წლებში კომიტეტის მიერ განსახორციელებულ ძირითად ღონისძიებებზე, რომლებიც კომიტეტის სტრატეგიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს.

გეგმაში გათვალისწინებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა, მათ შორის:

- ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიულ მიდგომებსა და საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარება და არსებული ვითარების კვლევა;
- სახელმწიფო დაფინანსების მიმღები სპორტული ორგანიზაციების მიერ კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენების კვლევა და ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა;
- დარგობრივი პოლიტიკის სფეროში მუნიციპალიტეტების კომპეტენციათა, ასევე წარმოებული პოლიტიკის კვლევა/ანალიზი;
- მოსახლეობის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის შედეგების, ახალგაზრდობის მოხალისეობრივი საქმიანობის კვლევა;
- შშპ პირთათვის სპორტის ხელმისაწვდომობის კვლევა;
- პენიტენციალურ სისტემაში სპორტის ხელმისაწვდომობის ვითარების კვლევა და სხვ.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას. აღინიშნა, რომ მოხდება საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, კერძოდ სპორტის შესახებ მოქმედი კანონის განახლება.

- ***პროექტი „ჩემი ხმა გადამწყვეტია“;***

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ საკრებულოს დეპუტატებთან ერთად მიმდინარე წლის 21 ივნისს, პროექტის „ჩემი ხმა გადამწყვეტია“ მონაწილეებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრა ა(ა)იპ ,,კარგი მმართველობის ინსტიტუტის” ორგანიზებითა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსებით განხორციელებულ ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტის ,,ჩემი ხმა გადამწყვეტია” ფარგლებში განხორციელდა.

დეპუტატებმა პროექტის მონაწილეებს საკრებულოს საქმიანობა გააცნეს, შემდეგ კი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

პროექტის მიზანი ახალგაზრდა ამომრჩეველთა საარჩევნო-პოლიტიკურ საკითხებში განათლება, ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა და ახალგაზრდების სახელმწიფოებრივ პროცესებში ჩართულობის დონის ამაღლებაა.

- ***ნიკოლ ბარციცის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა;***

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში მხატვრის, ნიკოლ ბარციცის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა გაიმართა. ღონისძიება საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ გახსნა.

გამოფენა ა(ა)იპ ,,ქართული ფონდის" ხელშეწყობით შედგა და მას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ელჩები, მთავრობისა და საპატრიარქოს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

- ***გარბენი „თბილისი";***

დედაქალაქის მერიის ინიციატივით, მიმდინარე წლის 24 ივნისს გარბენი ,,თბილისი'' დაფუძნდა.

გარბენი „თბილისი'' დედაქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მასობრივ სპორტში მოქალაქეთა ჩართვას ემსახურებოდა.

დედაქალაქის მერთან ერთად, გარბენში მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე, მერის მოადგილეები, თბილისის სხვადახვა რაიონების გამგებლები, მთავრობისა და დედაქალაქის საკრებულოს წევრები, მათ შორის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე და პროფესიონალი სპორტსმენები. გარბენი ვაკის პარკიდან დაიწყო და თავისუფლების მოედანზე დასრულდა.

- ***ქართველ ოლიმპიელთა ფორუმი;***

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და საკრებულოს წევრი დავით რურუა ქართველ ოლიმპიელთა ფორუმს დაესწრნენ.

სპორტული ღონისძიება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესა და საერთაშორისო ოლიმპიური დღის დაწესების 70 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მოწყობილი ღონისძიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა და პრიზიორებმა, სხვადასხვა თაობის ოლიმპიელებმა (სულ - 200- მდე სპორტსმენი). საპატიო სტუმრის სტატუსით ფორუმს ესწრებოდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების, ოლიმპიელთა მსოფლიო ასოციაციის ხელმძღვანელები.

აღსანიშნავია, რომ 1952-2018 წლებში, საბჭოთა ეპოქაში და დამოუკიდებლობის პერიოდში, ზაფხულისა და ზამთრის 27 ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ჰყავდა 395 ოლიმპიელი. ჩვენს ოლიმპიელებს სპორტის 21 სახეობაში სულ მოპოვებული აქვთ 126 ოლიმპიური მედალი, მათ შორის – 39 ოქროს მედალი.

- *სტუ-ს „სტუდენტური დღეები 2018”-ის დაჯილდოების ცერემონიალი;*

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე სტუდენტური პროექტის: „სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018 - ჯანსაღი ცხოვრებით თავისუფლებისაკენ'' დაჯილდოების გალა-კონცერტს დაესწრო.

ღონისძიება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

პროექტის ფარგლებში, 100 დღის განმავლობაში გამართულ 100 ღონისძიებაში, სხვადასხვა ფაკულტეტის 5000-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

ღონისძიება სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის ორგანიზებით და თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

- **არაფორმალური განათლების პროგრამა/ტრენინგ-კურსებში მონაწილეთათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია;**

2018 წლის 20 ივლისს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების'', არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში, ტრენინგ-კურსებში მონაწილე 120 ახალგაზრდას სერტიფიკატები გადაეცა.

სერტიფიკატების გადაცემის ღონისძიებას მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგ-კურსებში მონაწილეთა შერჩევა ელექტრონული აპლიკაციის საფუძველზე მიმდინარეობდა. თავდაპირველად ტრენინგ-კურსებში მონაწილეობის სურვილი 500-მდე ახალგაზრდამ დააფიქსირა. ტრენინგებზე დასწრებისა და აქტიური ჩართულობის საფუძველზე სერტიფიკატი 120 ახალგაზრდას გადაეცა.

აღნიშნული კურსების თემატიკა იყო საჯარო გამოსვლა, დროის მართვა, პროექტების მართვა, კონფლიქტების მართვა, ლიდერობა, პიროვნული განვითარება, მეწარმეობა და ინოვაცია, რაც ახალგაზრდების საჭიროებათა კვლევის საფუძველზე შემუშავდა.

ტრენინგებს უძღვებოდნენ თბილისში ზრდასრულთა განათლების ტრენერთა პორტალის www.trainers.ge სერტიფიცირებული ტრენერები, რომლებიც არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობდნენ მოხალისეობრივ საწყისებზე.

- ***სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაცია;***

მიმდინარე წლის 24 ივლისს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან, გიორგი ჩაკვეტაძესთან და საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაციას დაესწრო.

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, ავტობუსების პარკი სრულად განახლდება, მოხდება მეტროს მოდერნიზაცია, პარკირების საათობრივი და ზონალური მართვის სისტემის დანერგვა, ტაქსების სერვისის მოწესრიგება, მიკროავტობუსების მოწესრიგება-ჩანაცვლება, სატრანსპორტო მარშრუტების განახლება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სინქრონიზაცია.

- ***„ახალგაზრდა ელჩების" მიღება;***

მიმდინარე წლის 6 სექტემბერს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს დეპუტატებთან, ბექა დავითულიანთან და ლევან ჟორჟოლიანთან ერთად, ისრაელის ლიდერთა ცენტრ „ახალგაზრდა ელჩების" სტუდენტთა დელეგაციას შეხვდა. დეპუტატებმა სტუდენტებს თბილისის მუნიციპალიტეტების პრიორიტეტები, მმართველობის ფორმა, ფუნქციები გააცნეს და მათ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.

- ***„იუვენტუსის" აკადემიის კემპის გახსნა;***

თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 11 სექტემბერს ტურინის „იუვენტუსის'' აკადემიის კემპის გახსნის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა.

თბილისის ზღვაზე, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის'' საწვრთნელ სპორტულ ცენტრში, „იუვენტუსის'' აკადემიის ბანაკში 5-16 წლამდე ასაკის 100 ბავშვმა და მოზარდმა მიიღო მონაწილეობა. ვარჯიშები იტალიელი მწვრთნელებმა ჩაატარეს.

პროექტის გახსნას თბილისის მერიის, დედაქალაქის საკრებულოს, მათ შორის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ბანაკის მონაწილეებს სპორტული ეკიპირება და საჭირო ინვენტარი გადაეცათ. პროექტის დასასრულს კი, მონაწილეებს სიგელებითა და მედლებით დააჯილდოვებენ.

- ***„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ" კანონპროექტისა და „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის" საჯარო განხილვა;***

მიმდინარე წლის 14 სექტემბერს, თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, დეპუტატებთან - ავთანდილ ცინცაძესა და დავით რურუასთან ერთად, „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ" კანონის პროექტის საჯარო განხილვას დაესწრო.

გიორგი ჩაკვეტაძემ პროექტის მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით, დედაქალაქში მიმდინარე

ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, მულტიფუნქციური კომპლექსების პროექტირებისა და მშენებლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

კანონის პროექტი ემსახურება სპორტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებას, მათ შორის, ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, თანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი მართვა, სპორტული მედიცინა და სხვა.

- ***„Kant's Academy"-ის ახალი სასწავლო წლის პრეზენტაცია;***

კანტის აკადემიის ახალი სასწავლო წლის პრეზენტაციას თბილისის საკრებულომ უმასპინძლა. კოლეგებთან ერთად მონაწილეებს სიტყვით მიმართა გიორგი ჩაკვეტაძემ და მათ წარმატებები უსურვა.

აკადემიას 1500-მდე კურსდამთავრებული ჰყავს და იგი არაფორმარული განათლების ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა.

- ***გლდანი - ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის გახსნა;***

მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, თბილისის მერმა კახა კალაძემ ნაძალადევის რაიონში, ახალი სპორტული ცენტრი გახსნა, რომელსაც ასევე მერის მოადგილე, ირაკლი ბენდელიანი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე და საკრებულოს სხვა დეპუტატები ესწრებოდნენ.

ზღვის უბნის დასახლებაში, 3 247 კვადრატულ მეტრზე განთავსებული ცენტრი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, 1 500-მდე მომხმარებელს მოემსახურება.

ნაძალადევის რაიონში მდებარე სპორტული კომპლექსი ჭიდაობის დარბაზს, კრივის რინგს, ორ საცურაო აუზს (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ), ფიტნეს-დარბაზს, გასახდელებსა და სველ წერტილებს, კაფესა და სპორტულ მაღაზიას მოიცავს. ცენტრში იფუნქციონირებს ცურვის, წყალბურთის, ჭიდაობის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის, აღმოსავლური ორთაბრძოლისა და ფიტნესის სექციები.

სპორტული კომპლექსების მშენებლობის პროგრამა სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართვას ისახავს მიზნად.

- *,,მსოფლიო პირველობა სამბოში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის თბილისი 2018-ს'' - ს გახსნა;*

მიმდინარე წლის 12-14 ოქტომბერს თბილისში, სპორტის ოლიმპიურ სასახლეში, ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ,,მსოფლიო პირველობა სამბოში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის თბილისი 2018'' გახსნის ოფიციალურ ცერემონიას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად დაესწრო.

- *კამპანია „სიცოცხლით სავსე ეზო";*

თბილისში ახალი კამპანია „სიცოცხლით სავსე ეზო'' დაიწყო, რომელიც მოზარდებისათვის კომპიუტერული თამაშების ჯანსაღი, ხალისიანი ეზოს თამაშებით ჩანაცვლებას ისახავს მიზნად. კამპანია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზღვისუბნის (თემქა) მაჟორიტარი დეპუტატის თამარ ტალიაშვილის ინიციატივით გაიმართა, რომლის მხარდამჭერია თბილისის მერია, ორგანიზატორები კი, ორგანიზაცია ა(ა)იპ „ადამიანი, კანონი, თავისუფლება" და კომპანია „თამაშობანა".

პროექტში მონაწილეობა 200-ზე მეტმა 6-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდმა მიიღო, რომელთაც მადლობის სიგელები და მედლები გადაეცათ.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, მათ შორის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, თბილისის მერიის წარმომადგენლები, სპორტსმენები და სხვა მოწვეული სტუმრები.

- *სარაგბო კომპლექსები;*

საქართველოს რაგბის კავშირს ფონდმა „ქართუმ'' სამი ახალი, ულტრათანამედროვე სარაგბო კომპლექსი გადასცა. ღონისძიება, რომელსაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ, ნუცუბიძის პლატოზე მდებარე რაგბის ბაზაზე გაიმართა.

ღონისძიებაზე სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და თბილისის მერი კახა კალაძე გამოვიდნენ.

ქართულ სარაგბო ინფრასტრუქტურას თბილისში ორი, თელავში კი ერთი ახალი ბაზა შეემატა.

ახალი სარაგბო კომპლექსების ინვესტიციის ჯამური მოცულობა 18 800 000 ლარზე მეტია. ყველა კომპლექსს აქვს ბუნებრივ და ხელოვნურ საფარიანი მოედნები. თბილისში ტრიბუნები 2 344 მაყურებელზეა გათვლილი, თელავის კომპლექსის ტრიბუნები კი 2 244 მაყურებელს იტევს.

სარაგბო კომპლექსებში ასევე გათვალისწინებულია: ყინულის და საცურაო აუზები, ძალოსნობის დარბაზები, ღია სარეკრეაციო ზონები, ვიდეო-ანალიზის ოთახი, საკომენტატორო ოთახები, საკონფერენციო სივრცეები, ექიმისა და დოპინგ-კონტროლის ოთახები და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.

ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, გამართულ ღონისძიებას ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები, დამწყები მორაგბეები და რაგბის გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

მივლინებები/ ოფიციალური ვიზიტები

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს'' თავმჯდომარის მოადგილესთან (კომისიის წევრი) გიორგი მუსხელიშვილთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად ,,ბასკონია - ალავეს ჯგუფის'' მიწვევით ოფიციალური ვიზიტით ესპანეთში, ბასკეთში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ვიტორიაში, ბილბაოსა და ეიბარში შედგა - ბასკეთის დედაქალაქ ვიტორიის მერთან და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან.

ქალაქის მერმა დელეგაციას ბოლო 10 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები გააცნო. ასევე, ქალაქში არსებულ სხვადასხვა გამოწვევებზე ისაუბრეს, ტრანსპორტისა და სპორტის სამსახურების წარმომადგენლებმა მათი მიღწევები გააცნეს და შეთანხმდნენ აღნიშნული მიმართულებებით მეთოდოლოგიისა და ინფორმაციის სისტემურ გაცვლაზე.

სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო ესპანეთში, ბასკეთში არსებული სპორტული კომპლექსების მონახულება, მათი სამუშაო მეთოდოლოგიის გაცნობა და შემდგომ ქ. თბილისში მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობისა და ამუშავების პროცესში მიღებული გამოცდილების გაზიარება.

განხილული კორესპონდენცია

საანგარიში პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში შემოვიდა 287 მასალა/კორესპონდენცია. მათ შორის არის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი 219 მასალა; კომისიაში შემოსული 56 წერილი და საკრებულოს სხვადსხვა კომისიიდან თუ განყოფილებიდან მიღებული 12 წერილი.

რაც შეეხება გასულ კორესპონდენციას ჯამში შეადგენს 272-ს. მათ შორის კომისიის მიერ მომზადებული და გარე უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს 233-ს, ხოლო საკრებულოს შიდა უწყებებისთვის გაგზავნილი წერილების რაოდენობა 39-ს.

მოქალაქეთა მიღება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ***სამდივნო ორგანიზებას უწევს კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღებას,*** რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში შეხვედრა შედგა **180-მდე** მოქალაქესთან, რომლებსაც შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია გაეწიათ. ასევე განხორციელდა სატელეფონო კონსულტაცია და დაინტერესებულ მოქალაქეებს განმარტებები მიეცათ.

დამატებითი ინფორმაცია

- ***სტაჟიორების მიღება***

კომისიის, საანგარიშო პერიოდში, ჰყავდა ერთი სტაჟიორი, რომელიც მონაწილეობას იღებდა შემოსული განცხადება/წერილების განხილვასა და კომისიის სხდომების მომზადებაში. ესწრებოდა კომისიისა და საკრებულოს სხდომებს. სტაჟიორს გადაეცა ორენოვანი სერტიფიკატი.

- ***კომისიის საქმიანობის გაშუქება***

კომისიის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ყველა ინფორმაცია ქვეყნდება კომისიის "Facebook" გვერდზე და მის მართვას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო. გარდა ამისა, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის ამა თუ იმ ფორმით გაშუქებას.

კომისიის საქმინობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების, წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.